ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი თ. მ. /სიითი N..../

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.03.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 027/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ლ.-ის მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ლ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 19 მარტს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა თ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ლ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. ლ.-ის ოფისში მომუშავე დ. ზ., რომელიც ადვოკატი არ არის, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სიხლის სამართლის კოლეგიაში წარმოადგენდა ბრალდებულ შ. ა.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე. დ. ზ., იმის მიუხედავად, რომ არ არის ადვოკატი მუშაობს ქ. გარდაბანში მდებარე ოფისში მ. ლ.-თან ერთად და ეწევა საადვოკატო საქმიანობას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის პირველად დ. ზ.-ს შეხვდა მაშინ, როდესაც ქ. რუსთავში წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთო ბრალდებულ შ. ა.-ის ადვოკატად. დ. ზ.-მ, როგორც ბრალდებულის ადვოკატმა, მას გადასცა საქმის მასალები, თ. მ.-სათვის მოგვიანებით გახდა მისთვის ცნობილი, რომ დ. ზ. არ იყო დარეგისტრირებული ადვოკატად.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, დ. ზ. თავს ასაღებდა როგორც ბრალდებულის მეუღლე, ატყუებდა ბრალდებულის მშობლებს და მოუწოდებდა მათ, რომ მის წინააღმდეგ ემოქმედათ. ასევე ხელს უშლიდა მას საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში, ბრალდებულის მშობლებს აწვდის ინფორმაციას, რომ თითქოს ადვოკატი თ. მ. მათ ატყუებს და ამ საქმიდან არაფერი გამოვა. ასევე, მას შეცდომაში შეყავს ბრალდებული, რომელსაც ხშირად აკითხავს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ამბობს, რომ მისი ცოლია.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, დ. ზ. ფულს სძალავდა ბრალდებულის მშობლებს და მოუწოდებდა მათ გადაეხადათ 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი დაზარალებულისთვის. საჩივრის ავტორის განცხადებით, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შ. ა.-ის ბრალეულობა ცნობილი, დ. ზ.-მა მის მშობლებს მოსთხოვა 30 000$ დაზარალებულისთვის, ასევე გამოართვა 4000 (ოთხი ათასი) ლარი და აიძულებდა მათ, რომ იპოთეკით დაეტვირთათ სახლი და ოქრო ჩაებარებინათ.

1.6 2018 წლის 4 მარტს ქ.რუსთავში გაიმართა მორიგი სხდომა შ. ა.-ის საქმეზე, დ. ზ.-მა პროცესის დასრულების შემდეგ სხვათა თანდასწრებით მიაყენა მას შეურაცხყოფა. კერძოდ ყვირილით ეუბნებოდა, რომ იყო საქმის უცოდინარი, მის მიერ ჩატარებულ საექსპერტო კვლევებს უკანონოდ მიიჩნევდა და ამბობდა რომ მის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის სახელი და გვარი ყალბია და არ არსებობს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ამ ყველაფერს ესწრებოდნენ ბრალდებულის მშობლები, ოჯახის წევრები, მეზობლები, რეგისტრირებული მეუღლე და მანდატურები, რომელთა ყურადღებაც დ. ზ.-ს ყვირილმა მიიპყრო და თ. მ.-ის მიმართ გამოხატავდნენ უკმაყოფილებას. ამ ფაქტის შემდეგ დ. ზ. მივიდა ექსპერტთან, რომელმაც ადვოკატ თ. მ.-ს მისცა დასკვნა და მას საყვედური უთხრა, რომ თითქოს მისი დასკვნა და კვლევები იყო არასწორი.

1.7 2018 წლის 15 მარტს სასამართლოს მომდევნო სხდომაზე, სხდომის დარბაში დ. ზ.-მა სიტყვიერი უკმაყოფილება გამოხატა მის მიერ წარმოთქმულ მოსაზრებაზე, რომ სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობდა მიკერძოებულად და მისი დაცვის ქვეშ მყოფი შ. ა. იყო უდანაშაულო.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ასოციაციაში არ უნდა მუშაობდნენ ასეთი დამნაშავე წევრები და ითხოვს მათ მკაცრად დასჯას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ლ.-მა 2018 წლის 26 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, სადაც მიუთითა, რომ არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიას მის მიმართ და როგორც მისთვის ცნობილია, დ. ზ. არის ბრალდებულ შ. ა.-ის მეუღლე. ასევე, მისთვის გაუგებარია რა კავშირი აქვს ამ საქმესთან და რატომ მომართა პირადად მის მიმართ პრეტენზიით ადვოკატმა თ. მ.-მ ეთიკის კომისიას.

2.2 ადვოკატის განცხადებით, დ. ზ. არის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელიც თავისი საქმიანობისათვის იხდის გადასახადებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ლ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ადვოკატმა თ. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 19 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ლ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა, მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტისა და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატ მ. ლ.-ის ოფისში ადვოკატად მუშაობს პირი დ. ზ., რომელსაც არ აქვს საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია. დ. ზ. მას ხელს უშლის საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში, აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას და კლიენტის ოჯახის წევრებს მის წინააღმდეგ განაწყობს.

5.2 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად."

5.3 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლით დადგენილი დანაწესი. სადაც დადგენილია, რომ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ,,ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. "

5.4 საპროცესო კოლეგიამ არსებული ფაქტობრივი და დოკუმენტური გარემოებების საფუძველზე დაადგინა, რომ მართალია ადვოკატმა თ. მ.-მ ეთიკის კომისისიას საჩივრით მომართა ადვოკატ მ. ლ.-ის წინააღმდეგ, მაგრამ მისი საჩივრის შინაარსიდან იკვეთება, რომ მას პრეტენზია აქვს დ. ზ.-ზე, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიანი სიის საფუძველზე არ წარმოადგენს ადვოკატთა ასოციაციის წევრს. ვინაიდან ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ

ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს", რადგან პირი - დ. ზ., ვისზეც ადვოკატ თ. მ.-ს აქვს პრეტენზია, არ არის ადვოკატი და ადვოკატთა ასოციაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ადვოკატ თ. მ.-ის პრეტენზიები არა ადვოკატი პირის მიმართ.

5.5 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ თ. მ.-ის პრეტენზია ადვოკატ მ. ლ.-ის მიმართ - რომ მ. ლ.-ის ოფისში მუშაობს პირი - დ. ზ., რომელიც არ არის ადვოკატი, არ წარმოადგენს ადვოკატ მ. ლ.-ის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი პროფესიული ქცევის წესების დარღვევას.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" სააქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების , მე-6 მუხლით, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით, მე-19, მე-20, 27-ე, 28-ე, 31-ე, 32-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №027/18 ადვოკატ ლ.-ის მიმართ /სიითი №..../ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/